

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები



მაისი, 2019

შინაარსი

მთლიანი შიდა პროდუქტი	4
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში.....	5
ფასების დონე.....	5
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში	5
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.....	6
საგარეო ვაჭრობა	7
ტურიზმი	9
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	10
ფულადი გზავნილები.....	11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	11
საკრედიტო რეიტინგები.....	12
საბანკო სექტორი	13
ლარიზაცია	15
უმუშევრობის დონე.....	15
სიღარიბის მაჩვენებლები	16
საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა	17
საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში.....	19

	2014	2015	2016	2017	2018*
რეალური სექტორი					
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	29,150.5	31,755.6	34,028.5	37,846.6	41,527.2
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. დოლარი)	16,507.8	13,988.1	14,377.9	15,086.5	16,349.3
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	4.7%
მშპ ერთ სულზე (ლარი)	7,837.4	8,524.3	9,129.0	10,152.0	11,139.3
მშპ ერთ სულზე (დოლარი)	4,438.3	3,754.9	3,857.3	4,046.8	4,385.5
ინვესტიციები (% მშპ)	29.8%	31.5%	32.7%	32.4%	33.3%
დანაზოგები (% მშპ)	20.0%	20.4%	19.8%	23.5%	25.6%
მონეტარული სექტორი					
ინფლაცია (საშუალოწლიური)	3.1%	4.0%	2.1%	6.0%	2.6%
ინფლაცია (წლის ბოლოს)	2.0%	4.9%	1.8%	6.7%	1.5%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	4.0%	8.0%	6.5%	7.0%	6.5% ¹
საგარეო სექტორი					
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (% მშპ)	43.0%	44.1%	43.3%	50.2%	55.1%
საქონლისა და მომსახურების იმპორტი (% მშპ)	61.0%	62.3%	59.3%	61.9%	66.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (% მშპ)	11.0%	11.9%	10.9%	12.5%	7.6%
ფისკალური ბალანსი					
ფისკალური ბალანსი (% მშპ) ²		-2.7%	-3.0%	-2.9%	-2.5%
სახელმწიფო ვალი (% მშპ)	35.5%	41.4%	44.6%	44.6%	43.3%

* უახლესი მდგომარეობით


² სავალუტო ფონდთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით

მთლიანი შიდა პროდუქტი

2018 წლის საშუალო რეალურმა ზრდამ 4.7 პროცენტი შეადგინა. წინასწარი შეფასებით, ნომინალურმა მშპ-მ 2018 წელს 41,077.5 მილიარდი ლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 11,013.9 ლარი შეადგინა.

წინასწარი შეფასებით, 2019 წლის მარტში ეკონომიკა 6.0 პროცენტით გაიზარდა. 2019 წლის მარტში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის, ტრანსპორტის და ვაჭრობის სექტორებში. 2019 წლის იანვარ-მარტში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 4.7 პროცენტი შეადგინა.


ეკონომიკური ზრდა



ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია

2018 წელს ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი მოხმარებამ (წვლილი ეკონომიკურ ზრდაში 2.9 პპ) და ინვესტიციებმა (2.5 პპ) შეიტანა.


ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია



ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ექნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა 2019-2024 წლებში რეგიონის ქვეყნებთან შედარებით და საშუალოდ 5.1 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2019-2024 (IMF)



ფასების დონე

2019 წლის აპრილში ინფლაცია 4.1 პროცენტს გაუტოლდა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ერთჯერადმა ფაქტორებმა შეიტანა. კერძოდ, წლის დასაწყისში თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის მატების წვლილი აპრილის წლიურ ინფლაციაში მნიშვნელოვნად მაღალია (დაახლოებით 1.3 პროცენტული პუნქტი).


2019 წლის პირველი მაისს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. არსებული პროგნოზებით, ინფლაცია წლის ბოლომდე და საშუალოვადიან პერიოდშიც მიზნობრივი მაჩვენებლის ირგვლივ იმოძრავებს. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაცია და განაკვეთის პოტენციურ დონემდე შემცირება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში


ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი კერძო სექტორს უჭირავს.

2018 წლის ოთხი კვარტლის მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წელთან შედარებით 19.5%-ით გაიზარდა და 85.5 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვება 40.9 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 10.5%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ბიზნეს სექტორი, 2018



2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილთა რაოდენობამ 684 ათასი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 3.7 პროცენტით აღემატება. ეს წინა წელთან შედარებით 24.5 ათასით მეტ სამუშაო ადგილს ნიშნავს.



2017 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორის ბრუნვა 12 პროცენტით, გამოშვება 11.9 პროცენტით, ხოლო დასაქმება 6.2 პროცენტით გაიზარდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური აქტივობა.

2018 წლის ოთხი კვარტლის მონაცემების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიზნეს სექტორის მთლიან გამოშვებაში 59.1%-ს შეადგენს. 2010 წლიდან სტაბილურად იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიზნეს სექტორის გამოშვებაში.

2018 წელს მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვება გაიზარდა 10.5 პროცენტით და მისმა წვლილმა ბიზნეს სექტორის გამოშვების ზრდაში 6.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

2018 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ბიზნეს სექტორის დასაქმებაში 63.8%-ს შეადგენს.


ეკონომიკური აქტივობის ზრდის მიუხედავად, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კვლავ

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხები მთლიანი სესხების 23%-ს, ხოლო ბიზნეს სესხების 41%-ს შეადგენს.

განხორციელებული ღონისძიებების შემდეგ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ახალი ინსტრუმენტების განვითარება. აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის გენერირების და დასაქმების ხელშეწყობის პოტენციალი საკრედიტო საგარანტიო ინსტრუმენტის განვითარებას აქვს. ეკონომიკური სარგებლის მისაღებად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტისათვის კრედიტის მიწოდების ზრდა, რომლის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს უზრუნველყოფის ნაკლებობა წარმოადგენს. მცირე და საშუალო ბიზნესს ხშირ შემთხვევაში არ აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. შესაბამისად, საკრედიტო საგარანტიო სქემა ხელს შეუწყობს კრედიტის მიწოდების ზრდას სიცოცხლისუნარიანი ფირმებისთვის, მათთვის ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესებას და ახალი დარგების დაკრედიტებას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო საგარანტიო ფონდების პოპულარობა, რადგან ამ გზით მნიშვნელოვნად მარტივდება ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის და სტიმულირდება ეკონომიკური ზრდა.


საგარეო ვაჭრობა

2018 წელს ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - 3.4 მილიარდი აშშ. დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 22.6 პროცენტით გაიზარდა. 2016 წლის სექტემბრიდან ექსპორტის სტაბილური ზრდა ფიქსირდება.




ექსპორტის ზრდა ძირითადად რეალური ეფექტით იყო გამოწვეული და 2018 წლის მონაცემებით, ექსპორტის რეალურმა ზრდამ 12.7 პროცენტი შეადგინა.

ექსპორტი



იმპორტი 2018 წელს 14.9 პროცენტით გაიზარდა და 9,121.4 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. 2018 წლის მონაცემებით, იმპორტის ზრდა ძირითადად ფასისმიერი ეფექტით იყო გამოწვეული.

იმპორტი



2018 წელს უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა: მსუბუქი ავტომობილების (75%), სიგარეტების და სიგარეტების (4-ჯერ მეტად), სპილენძის მადნების და კონცენტრატების (19%), ფეროშენადნობის (15%), ყურძნის ნატურალური ღვინოებისა (15%) და აზოტოვანი სასუქების (20%) ექსპორტი.

2019 წლის იანვარ-მარტში ექსპორტი გაიზარდა 12.8 პროცენტით და 826.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 4.7 პროცენტით ნაკლებია წინა წლის იანვარ-მარტის მაჩვენებელზე და 1 981.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2019 წელსაც ექსპორტის ზრდა რეალური ეფექტით იყო განპირობებული.

2019 წლის იანვარ-მარტში სავაჭრო დეფიციტი შემცირდა 190.8 მლნ. აშშ. დოლარით და 1 155.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. იანვარ-მარტში სავაჭრო დეფიციტმა საგრო-სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 6.7 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

ტურიზმი


ბოლო 6 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2018 წელს ტურიზმიდან შემოსავლებმა რეკორდულ მაჩვენებელს 3.2 მილიარდ აშშ. დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 19.1 პროცენტით გაიზარდა. ტურიზმიდან შემოსავლების მიხედვით ყველაზე დიდი წილი 26 პროცენტი (841.7 მლნ. აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციაზე მოდის, შემდეგ მას მოსდევს თურქეთი 14 პროცენტით (437.4 მლნ. აშშ დოლარი) და ევროკავშირი 12 პროცენტით (394.1 მლნ. აშშ დოლარით). ვიზიტზე საშუალო დანახარჯის მიხედვით ლიდერობს საუდის არაბეთი 1183 აშშ დოლარით, ისრაელი 1170 აშშ დოლარით, ევროკავშირი 1020 აშშ დოლარითა და უკრაინა 890 აშშ დოლარით.

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2018 წელს 11.1 პროცენტით გაიზარდა და 7,203 ათასი შეადგინა, მათ შორის ტურისტების რაოდენობა 16.9 პროცენტით გაიზარდა და 4,757 ათასი შეადგინა.

2019 წლის იანვარ-აპრილში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 2.9 პროცენტით გაიზარდა და 2 265.3 ათასი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა 4.8 პროცენტით და 1 230 649 შეადგინა.

2019 წლის იანვარ-მარტში ტურიზმიდან შემოსავლებმა შეადგინა 578.4 მლნ. აშშ დოლარი, რაც 5.0 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

2019 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით, ტურიზმიდან შემოსავლების ყველაზე დიდი წილი 28.7 პროცენტი (166.1 მლნ. აშშ დოლარი) რუსეთის ფედერაციაზე მოდის, შემდეგ მოდის თურქეთი 13.9 პროცენტით (80.1 მლნ. აშშ დოლარი), ევროკავშირი 10.3 პროცენტი (59.5 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი 9.1 პროცენტით (52.5 მლნ. აშშ დოლარი).



საერთაშორისო ვიზიტორების ზრდას და ქვეყნის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა.

მსოფლიოში აღიარებულმა და გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემამ და პლატფორმამ Lonely Planet-მა საქართველო 2018 წლის ათ საუკეთესო მიმართულებას შორის დაასახელა. ბრიტანულმა გამოცემამ The Telegraph-მა საქართველო ევროპის ყველაზე საოცარი ქვეყნების, ხოლო გამოცემა Financial Times-მა ძირითადი ტურისტული მიმართულებების სიაში შეიყვანა.

National Geographic-მა საქართველო მსოფლიოში ყველაზე ლამაზ 17 ადგილს შორის დაასახელა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება. **2014-2018 წლებში საქართველოში 8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.**

2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება უკავშირდება: მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებას, ვალდებულებების შემცირებას/სასესხო დავალიანების დაფარვას არარეზიდენტი ინვესტორების მიმართ და რამდენიმე საწარმოს ფლობაში არარეზიდენტების წილის შემცირებას და საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლას.

2018 წელს 44.3 პროცენტით (43.7 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში და 142.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, სამთომომპოვებითი მრეწველობის სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 28.9 პროცენტით (14.9 მლნ. აშშ. დოლარით) და 66.7 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2018 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 277.9 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი 174.7 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით (14.2 პროცენტი), ხოლო მესამეზე ენერჯეტიკის სექტორი 157.2 მლნ. აშშ დოლარით (12.8 პროცენტი).

ქვეყნების მიხედვით 2018 წელს ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან განხორციელდა (19.5 პროცენტი - 240 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო (16.5 პროცენტი - 203.7 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (13.6 პროცენტი - 167.9 მლნ აშშ დოლარი).



აღსანიშნავია, რომ 2018 წელს რეინვესტირების წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენდა 45 პროცენტს. რეინვესტირების მოცულობის ზრდა ერთმნიშვნელოვნად

ამტკიცებს გატარებული მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტიანობას, რომელიც კერძო სექტორს აძლევს საშუალებას მათი მიღებული მოგება, გადასახადების ნაცვლად, მიმართონ ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და ბიზნეს საქმიანობის გასაფართოებლად.

2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს 1 894.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 21 პროცენტით (328.7 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ისტორიული მაქსიმუმია.


2017 წელს მნიშვნელოვნად - 97 პროცენტით (323 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა რეინვესტირების მოცულობა და 657.5 მლნ. აშშ. დოლარი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35 პროცენტი შეადგინა.

ფულადი გზავნილები

2018 წელს ფულადი გზავნილების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს 1 576.5 მლნ. აშშ დოლარის მიაღწია და წინა წელთან შედარებით 14.3 პროცენტით (197 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა. ამასთან, იზრდება ფულადი გზავნილების დივერსიფიკაციის დონე. 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა რუსეთის წილი ფულადი გზავნილების მოცულობაში. ამასთან, 2018 წელს ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა იტალიიდან, ისრაელიდან და საბერძნეთიდან.

2019 წლის იანვარ-მარტში ფულადი გზავნილების მოცულობა 6.5 პროცენტით (23.1 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 379.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ფულადი გზავნილები, ცვლილება (%)



მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ეკონომიკური ზრდის პარალელურად მცირდება საგარეო მოწყვლადობის დონე და იზრდება მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ.

2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 7.7% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მესამე


კვარტალში პირველად დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი.

მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება ძირითადად დაკავშირებულია ეროვნული დანაზოგების ზრდასთან, რამდენადაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წარმოადგენს სხვაობას ეროვნულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. 2018 წელს ეროვნული დანაზოგების დონე მშპ-თან მიმართებით 2.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და 25.6 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის პირველადი ბალანსი (ბალანსი საინვესტიციო შემოსავლების გამორიცხვით) დადებითი იყო და მშპ-ს 1.2% შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მომსახურების ბალანსის დადებითი სალდოს ზრდამ მოახდინა. 2018 წელს მომსახურების ბალანსი 11.3%-ით (227.7 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა და 2 242 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მომსახურების ექსპორტის ყველაზე მაღალი წილი - 72% ტურიზმზე მოდის.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსმა მშპ-ს 5.5 პროცენტი შეადგინა. ვალით დაფინანსებული დეფიციტი კი მშპ-ს 2.2 პროცენტი იყო.



საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“.

2019 წლის აპრილში სარეიტინგო კომპანია „S&P“-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგის პერსპექტივა გააუმჯობესა სტაბილურიდან პოზიტიურის მიმართულებით, ხოლო რეიტინგი უცვლელი დატოვა “BB“-ზე.

2019 წლის თებერვალში სარეიტინგო კომპანია „Fitch“-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“-დან „BB“-მდე, ხოლო პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა.

სარეიტინგო კომპანია „Fitch“-ის მიერ რეიტინგის გაუმჯობესება წარმოადგენს მნიშვნელოვან

პოზიტიურ ფაქტორს, კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნეს გარემოზე.


სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, რეიტინგის გაუმჯობესება განპირობებულია 2018 წლის განმავლობაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით და საგარეო შოკებისადმი მდგრადობის ზრდით. ამასთან, მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნეს გარემო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად წარმოადგენს რეიტინგის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს.

2017 წლის სექტემბერში Moody's-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე. სარეიტინგო კომპანიის მიერ რეიტინგის გაუმჯობესება და რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა განპირობებულია საქართველოს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით 2014 წლის შემდგომ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური შოკების ფონზე, რაც ეკონომიკის მოწყვლადობის შემცირებასა და ინსტიტუციური გარემოს გაძლიერებაზე მიანიშნებს.

საბანკო სექტორი


კომერციული ბანკების მოგებამ 2018 წელს 914.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 5.2%-ით აღემატება. კომერციული ბანკების მოგებამ 2019 წლის მარტში 75.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე 0.8%-ით ნაკლებია. მოგების შემცირება დაფიქსირდა იანვარშიც და თებერვალშიც. იანვარსა და თებერვალში მოგების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო წმინდა რეზერვების ზრდით, ხოლო მარტში საპროცენტო ხარჯების ზრდით, კერძოდ ვადიანი დეპოზიტების ხარჯებით. 2019 წლის იანვარ-მარტში შემოსავლები გაიზარდა 10.1%-ით, ხოლო მოგება შემცირდა 15.2 პროცენტით და 198.6 მილიონი ლარი შეადგინა.

2019 წლის აპრილის მდგომარეობით დეპოზიტები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 16.0%-ით. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდამ 16.8%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 15.6% შეადგინა.




2019 წლის აპრილის მდგომარეობით სესხები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 20.7%-ით. ეროვნულ ვალუტაში სესხების ზრდამ 16.8%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 13.2% შეადგინა. 2018 წლის მაისიდან შეინიშნება სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპის შენელება. ამასთან, სამომხმარებლო სესხების ზრდა ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდით არის გამოწვეული, უცხოური ვალუტით გაცემული სამომხმარებლო სესხები კი ბოლო თვეებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

წვლილი სესხების ცვლილებაში



2019 წლის მარტში დაფიქსირდა შინამეურნეობებზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხების ნაკადების 12.7%-იანი შემცირება. სესხების მოცულობამ 219.6 მილიონი ლარი შეადგინა.

შინამეურნეობებზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხები




საბანკო სექტორის მომგებიანობის მაჩვენებლები სტაბილურად მაღალ დონეზეა. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აქტივებზე უკუგება 4.6%-ს, ხოლო კაპიტალზე უკუგება 35.2%-ს შეადგენს.

ლარიზაცია

2019 წლის აპრილის მდგომარეობით (2017 წლის დასაწყისთან შედარებით), დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 29.4%-დან 38.0%-მდე (დოლარიზაცია შემცირდა 70.6%-დან 62.0%-მდე), ხოლო სესხების ლარიზაცია - 34.8%-დან 44.0%-მდე (სესხების დოლარიზაცია შემცირდა 65.2%-დან 56.0%-მდე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებაა, ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციის ზრდის მიმართულებით, რომელიც 41.6%-დან 54.0%-მდე გაიზარდა (დოლარიზაცია შემცირდა 58.4%-დან 46.0%-მდე).

დოლარიზაცია




2018 წლის ივნისი-დეკემბრის პერიოდში ლარიზაციის მცირედი შემცირება დაფიქსირდა, რაც ძირითადად კურსის ეფექტით იყო გამოწვეული. ამასთან, სესხების ლარიზაციის შემცირებას ხელი შეუწყო ევროთი გაცემული სესხების ზრდამ. 2018 წლის ივლისიდან შეინიშნებოდა ევროში გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ზრდა. ივლისში ევროში გაცემული სესხების ნაკადები თითქმის გასამმაგდა და ევროთი გაცემული სესხების ოდენობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს - 505 მლნ ლარს მიაღწია 2018 წლის ოქტომბერში. ევროთი გაცემული სესხების ზრდა ძირითადად შინამეურნეობებზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემული სესხების ზრდით იყო გამოწვეული. შინამეურნეობებზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემულ სესხების ნაკადებში ევროში გაცემული სესხების წილი ივლისში 18 პროცენტიდან დეკემბერში 38.9 პროცენტამდე გაიზარდა, თუმცა 2019 წლის თებერვალ-მარტში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და მარტში 16.4% შეადგინა.

უმუშევრობის დონე

2018 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა. უმუშევრობის დონემ ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. უმუშევრობის დონე ბოლო 9 წლის განმავლობაში სტაბილურად

შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მონაცემებით პირველად დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება თვითდასაქმებულთა რაოდენობას და დაქირავებით დასაქმებულთა წილმა მთლიან დასაქმებაში 50.8 პროცენტი შეადგინა.


1998-2016 წლებში სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამუშაო ძალის გამოკვლევა. ამასთან, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა 2014 წლის აღწერის მონაცემები და ისტორიულ მწკრივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადაიხედა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები (უმუშევრობის დონე წინა პერიოდის მონაცემებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა შენარჩუნდა შემცირების ტენდენცია).



სიღარიბის მაჩვენებლები

2017 წელს აბსოლუტური სიღარიბის დონე, რომელიც გულისხმობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრით წილს, წინა წელთან შედარებით მცირედით 0.03 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.9 პროცენტი შეადგინა. გენდერულ ჭრილში აღნიშნული ინდიკატორი ქალებში 21.6 პროცენტს, ხოლო მამაკაცებში 22.4 პროცენტს გაუტოლდა. სოფლად სიღარიბის დონე 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ბოლო წლებში სიღარიბის დონე შემცირების ტრენდით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს დასაქმების ზრდა ბიზნეს სექტორში და ასევე რეალური ხელფასების მატება. 2017 წელს სიღარიბის დონე ტრენდულ მაჩვენებელზეა.

სიღარიბის დონე



აბსოლუტური სიღარიბის მეთოდოლოგიის დანერგვა საქსტატმა 2017 წელს განახორციელა მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აბსოლუტური სიღარიბის გაანგარიშება დაფუძნებულია მსოფლიო ბანკის „საბაზისო მოთხოვნილებების“ მიდგომაზე (basic needs approach), რომელიც მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება.

2017 წლიდან შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევაში (2017 წლამდე „შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა“), რომელიც წარმოადგენს სიღარიბის მაჩვენებლების უშუალო წყაროს, რიგი ცვლილებები განხორციელდა და შესაბამისად გადაიხედა წინა წლების აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლები.

საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, საქსტატმა დანერგა კვლევის შერჩევის ახალი დიზაინი და შერჩევის ჩარჩოდ პირველად გამოიყენა 2014 წლის აღწერის მონაცემები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა

2017 წლის 12 აპრილს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში საქართველოს დაუმტკიცა პროგრამა 285 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სრულად არის დაფუძნებული მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკასა და რეფორმების დღის წესრიგზე. პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იქნება ჩვენი ქვეყნის პარტნიორი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში. სავალუტო ფონდი სრულად იზიარებს ეკონომიკურ და სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას. 2018 წლის დეკემბერს წარმატებით დასრულდა პროგრამის მესამე შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროგრამა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და 2018 წლის მდგომარეობით შესრულებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი (ე.წ. „სტრუქტურული ბენჩმარკი“).

ფინანსური სტაბილურობა	სტატუსი
კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დანერგვა ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებისადმი პრეფერენციის მინიჭებით.	შესრულდა
სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების კაპიტალის ადეკვატურობისთვის დამატებით კაპიტალის მოთხოვნის დაწესება.	შესრულდა
პარლამენტში კანონის წარდგენა, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ბანკს ეძლევა საკრედიტო ბიუროების ზედამხედველობის შესაძლებლობა.	შესრულდა
კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის 50 მლნ ლარამდე გაზრდა ეტაპობრივად 2019 წლისთვის.	შესრულდა
კაპიტალის ბაზრის განვითარება	
„ბენჩმარკ“ ობლიგაციების რამდენიმე წლიანი კალენდარის შემუშავება.	შესრულდა
მონეტარული პოლიტიკის ოპერაციები და კომუნიკაცია	
ლიკვიდურობის პროგნოზირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის ინფორმაციის გაცვლის შესახებ მემორანდუმის გაფორმება.	შესრულდა
დეპოზიტების დაზღვევა	
საქართველოს პარლამენტში კანონის წარდგენა და 2018 წლის პირველი იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა.	შესრულდა
ბანკების რეზოლუციის ჩარჩო	
ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის ინიცირება საქართველოს პარლამენტში, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება, კომერციული ბანკის ფინანსური პრობლემების წარმოქმნის საწყის ეტაპზევე აამოქმედოს ბანკის დროებითი მართვის მექანიზმი, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და FSAP 2014-ის რეკომენდაციების შესაბამისად.	შესრულდა
ფისკალური სექტორი	
პარლამენტისთვის 2018 წლის ბიუჯეტის კანონის წარდგენა ფონდთან პროგრამის შესაბამისად გაანგარიშებული ბიუჯეტის დეფიციტის გათვალისწინებით.	შესრულდა
საჯარო მოხელეების ანაზღაურების შესახებ კანონის მიღება.	შესრულდა
საგადასახადო ადმინისტრირება	
დაგროვილი დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნების მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება (რაც მოიცავს ანალიზს, დაბრუნებას, ჩათვლასა და ჩამოწერას).	შესრულდა
შემოსავლების სამსახურის სათაო ოფისის რესტრუქტურირაცია ფუნქციებზე დაფუძნებულ ორგანიზაციად.	შესრულდა
საზედამხედველო საბჭო, დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნების სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, წარადგენს აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებს.	შესრულდა
საჯარო და კერძო თანამშრომლობა და ფისკალური რისკები	

საქართველოს პარლამენტში საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონის წარდგენა, ამასთან, ანგარიშგებისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა, ასევე აუცილებელი ზედა ზღვრის განსაზღვრა რომელიც შეზღუდავს მთავრობის მონაწილეობას საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებში.	შესრულდა
2018 წლის ფისკალური რისკების დოკუმენტში ყველა PPP-სა და PPA-ის ვალდებულებების, ასევე სახელმწიფო საწარმოების პირობითი ვალდებულებების გათვალისწინება.	შესრულდა
საჯარო ფინანსების მართვა	
გზამკვლევის გამოცემა ახალ საბიუჯეტო სასესხო ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვს კომერციული ამონაგების შესახებ გონივრულ მოლოდინს.	შესრულდა
საპენსიო რეფორმა	
მეორე სვეტის საპენსიო სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი კანონის წარდგენა.	შესრულდა
მესამე მიმოხილვა	
ახალი, სპეციალიზირებული, დღგ-ს სამმართველოს შექმნა, რომელიც ფოკუსირდება დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნებაზე.	შესრულდა
შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგულაციის დანერგვა ბანკების მიერ უძრავი ქონების ღირებულების შეფასების შესახებ.	შესრულდა
დამოუკიდებელი საპენსიო სააგენტოს შექმნა.	შესრულდა
ევროკავშირის რეგულაციებისა და ბაზელის პრინციპების შესაბამისი რეგულაციების დანერგვა ლევერიჯის კოეფიციენტთან დაკავშირებით.	შესრულდა
ბაზელის პრინციპების შესაბამისი რეგულაციის დანერგვა ბანკის კორპორატიული მართვასთან დაკავშირებით.	შესრულდა

სავალუტო ფონდის დასკვნები და შეფასებები ნათლად მიანიშნებს სხვადასხვა მიმართულებით ხელისუფლების მიერ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით წარმატებით განხორციელებულ რეფორმებზე, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებსა და აღნიშნული რეფორმების პოზიტიურ შედეგებზე.

2019 წლის 27 თებერვალს წარმატებით დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში. მისიის მიერ პოზიტიურად შეფასდა ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევა სტრუქტურული რეფორმების გატარების კუთხით.

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

ბიზნესის კეთების სიმარტივის და საინვესტიციო მიზიდველობის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ბანკის „Doing Business“ 2019“ წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 2018 წელთან შედარებით 3 ადგილით გაუმჯობესდა და საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-9 ადგილიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა.

საქართველო იკავებს პირველ ადგილს იკავებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ქვეყანაში მაღალია ეკონომიკური გახსნილობის დონე და უზრუნველყოფილია კაპიტალის, საქონლისა თუ მომსახურების თავისუფალი მოძრაობა. Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით საქართველო მე-16 ადგილზეა მსოფლიოში და ხვდება უმეტესად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის.

Fraser institute-ის 2018 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, მიხედვით საქართველოს მდგომარეობა წინა წელთან შედარებით 2 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილი დაიკავა 162 ქვეყანას შორის. რეიტინგში პოზიციის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა იქონია მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ.

მსოფლიო ბანკის და PWC ანგარიშის თანახმად, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საგადასახადო ტვირთი. გადასახადის ეფექტური განაკვეთი 9.9%-ს შეადგენს, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში და აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოში. დაბალი საგადასახადო ტვირთი სხვა ფაქტორებთან ერთად კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ბიზნესის კეთებას საქართველოში და ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას. ამასთანავე, მოგების გადასახადის ახალი რეფორმა, რომელიც 2017 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში, კიდევ უფრო ამცირებს საგადასახადო ტვირთს ბიზნესისთვის.

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებულ „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2017-ის“ (Open Budget Survey 2017) შედეგების თანახმად, საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის. აღნიშნული პოზიციით, საქართველო მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში. საქართველო რეგიონიდან ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ამ კატეგორიაში გადავიდა და რომლის სტანდარტსაც ბოლო კვლევით მხოლოდ 5 ქვეყანა აკმაყოფილებს მსოფლიოში. შესაბამისად, საქართველო იკავებს ადგილს ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორცაა: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია.

აღნიშნული საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგია, მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა, საშუალო ვადიანი დაგეგმვის გაძლიერება, ანგარიშგების ყოვლისმომცველობის გაზრდა და სხვა.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: 0108 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. №2

ტელეფონი: +(995 32) 2 99 11 14

ელ.ფოსტა: vtsintsadze@moesd.gov.ge;

ელ.ფოსტა: kchapidze@moesd.gov.ge;